პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 100 (5201) | ოთხშაბათი, 4 მაისი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ამომრჩევლებს, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მივიდნენ 1938 წლის 12 ივნისს საარჩევნო ყუთებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აჭარისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა ასარჩევად.**

**გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში.**

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი.

# საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

## ყველა ამომრჩეველს, მუშებს, მუშა-ქალებს, გლეხებსა და-გლეხ-ქალებს, წითელ არმიას, საბჭოთა ინტელიგენციას

### ამხანაგებო!

1937 წლის 12 დეკემბერს საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე, აირჩია თავისი უმაღლესი ორგანო ხელისუფლებისა — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო.

საბჭოთა კავშირის ყველა ამომრჩეველთა 97 პროცენტმა მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და ამით მკაფიოდ უჩვენა ყველას საბჭოთა ხალხის პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა, ჩვენი ქვეყნის მშრომელების მიერ მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე თავისი მოქალაქობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი თავის ისტორიულ მიმართვაში ყველა ამომრჩევლისადმი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ბოლშევიკების პარტია არჩევნებზე გამოდის **ბლოკში, კავშირში** უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან", რომ „ბოლშევიკების პარტია კი არ ემიჯნება უპარტიოებს, არამედ, პირიქით, მიდის არჩევნებზე ბლოკში, კავშირში უპარტიოებთან, მიდის ბლოკში მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიულ კავშირებთან, კომკავშირთან და უპარტიოთა სხვა ორგანიზაციებთან და საზოგადოებებთან".

საბჭოთა ხალხის ურღვევმა მორალურმა და პოლიტიკურმა ერთიანობამ, მისმა უსაზღვრო ნდობამ კომუნისტური პარტიისადმი (ბოლშევიკებისა) და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი თავისი გამოხატულება ჰპოვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შედეგებში.

90 მილიონზე მეტმა ამომრჩეველმა ხმა მისცა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს, ხმა მისცა **ლენინ-სტალინის** პარტიის პოლიტიკას, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას.

მთელმა საბჭოთა ხალხმა გამოხატა გრძნობა უსაზღვრო ერთგულებისა და სიყვარულისა კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) და მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადისადმი — დიდი **სტალინისადმი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ეს ბრწყინვალე შედეგები მოულოდნელი როდი იყო ჩვენი პარტიისათვის.

მთელი თავისი სახელოვანი ისტორიის მანძილზე, **ლენინ-სტალინის** პარტიამ დაამტკიცა, რომ ის არის ერთადერთი პარტია, რომელიც ნამდვილად და თანამიმდევრულად იცავს მშრომელთა ინტერესებს ექსპლოატატორებისა და მჩაგვრელების წინააღმდეგ, ერთადერთი პარტია, რომელსაც შესწევს უნარი შემოიკრიბოს თავის ირგვლივ ხალხის უფართოესი მასები, დარაზმოს და წაიყვანოს ისინი ექსპლოატატორული წყობილების დამხობისა და უკლასო კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ხალხმა კარგად იცის, რომ სოციალიზმის თავის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს, რომლებმაც გადააქციეს ჩვენი სამშობლო „ჩამორჩენილობისა და შუასაუკუნოებრივობის, სიბნელისა და უკულტურობის, მშრომელთა სილატაკის, უუფლებობისა და ჩაგვრის ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, ...მოწინავე, კულტურულ, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ" (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი), იგი უნდა უმადლოდეს ბოლშევიკთა პარტიას, პარტიისა და ხალხის ბელადის — დიდი **სტალინის** ბრძნულ ხელმძღვანელობას.

საბჭოების ქვეყნის მშრომელებმა კარგად იციან, რომ თავის ბედნიერ, სასიხარულო ცხოვრებას, შრომის, განათლების, დასვენების, უზრუნველყოფილი მოხუცებულობის თავის დიად განუყრელ გარანტირებულ უფლებებს ისინი უნდა უმადლოდნენ დიდ **სტალინს.**

საბჭოთა კავშირის ხალხებმა კარგად იციან, რომ მეფის თვითმპყრობელობის — ხალხთა ამ საპყრობილის დანგრევას, წარსული ნაციონალური ჩაგვრისა და კოლონიური დამონების მოსპობას, თავის ნაციონალურ აღორძინებას და სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის აყვავებას ისინი უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკთა პარტიის **ლენინურ-სტალინურ** ნაციონალურ პოლიტიკას, ხალხთა სტალინურ მეგობრობას.

აი ამიტომ ჰქონდა ბოლშევიკების პარტიას იმედი ხალხის ნდობისა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, აი ამიტომ მას „უფლება აქვს იმედი იქონიოს, რომ ამომრჩევლები ეთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს" (საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

**ლენინ-სტალინის** პარტიის ხელმძღვანელობით, დიადი რუსი ხალხის დახმარებით, რომელმაც დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და პირველმა აღმართა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის დროშა, წინათ ჩაგრულმა ხალხებმა მეფის რუსეთისამ მიიღეს თავისუფლება და გამოვიდნენ ნაციონალური აღორძინების, სამეურნეო და კულტურული აყვავების ფართო გზაზე.

თავისი კონსტიტუციების საფუძველზე, რომლებიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, დიადი საბჭოთა კავშირის 11 მოკავშირე რესპუბლიკა ემზადება თავისი უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის.

1938 წლის 12 ივნისს საბჭოთა საქართველოს მშრომელნი აირჩევენ სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას), საქ. კ. პ. (ბ) ერთგულ, მებრძოლ რაზმს, მაღლა უჭირავს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის დროშა, მიდის უმაღლესი საბჭოს არჩევნებზე უპარტიო მუშებთან, გლეხებთან, მოსამსახურეებთან, ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირში.

უდიდესი აღფრთოვანებით მიმდინარეობენ მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებიც უკვე ასახელებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს. თავის პირველ კანდიდატად საქართველოს მშრომელებმა წამოაყენეს სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ბედნიერი, სასიხარულო ცხოვრების შემომქმედი დიდი **სტალინი.**

ის განსაკუთრებული ერთსულოვნება, რომლითაც მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის კრებები ასახელებენ კანდიდატებს კომუნისტებიდან და უპარტიოებიდან, ცხადჰყოფს, თუ რამდენად ღრმად და მტკიცედ დამკვიდრდა ხალხის შეგნებაში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის იდეა, რამდენად ღრმად შეითვისეს მშრომელებმა, რომ „თვითეული უპარტიო დეპუტატი იქნება აგრეთვე დეპუტატად კომუნისტებისაგან, ისე როგორც თვითეული კომუნისტი დეპუტატი იქნება დეპუტატად უპარტიოებისაგან" (საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვიდან ყველა ამომრჩევლისადმი).

საქართველოს კომუნისტური პარტია, (ბოლშევიკებისა) იმედოვნებს, რომ როგორც პარტიული, ისე უპარტიო ორგანიზაციები და საზოგადოებები მშრომელებისა მომავალშიაც ასევე ერთსულოვნად წამოაყენებენ საერთო კანდიდატებს კომუნისტებიდან და უპარტიოებიდან, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს უპარტიო ამომრჩევლები ისევე ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტ-კანდიდატებს, როგორც უპარტიო კანდიდატებს.

შეუძლიან თუ არა საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) იქონიოს იმედი ქართველი ხალხის ნდობისა, მისი მხარდაჭერისა მომავალ არჩევნებში?

საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) ჯერ კიდევ რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე საფუძველი ჩაუყარა დიდი **ლენინის** ერთგულმა მოწაფემ და უახლოესმა თანამებრძოლმა — ამხანაგმა **სტალინმა.**

**სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები საბრძოლველად რაზმავდნენ მუშებსა და გლეხებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ქართველი თავადების, მემამულეების, კულაკებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის ნაციონალური ჩაგვრისაგან და კოლონიური დამონებისაგან, ექსპლოატაციისა და სილატაკისაგან.

**სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები რევოლუციური მოძრაობის ყველა ეტაპზე აწარმოებდნენ შეურიგებელ ბრძოლას მენშევიკების, ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ და მშრომელთა სხვა დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ, უნერგავდნენ რა ხალხის მასებს ცარიზმის, ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების რევოლუციური გზით დამხობის აუცილებლობის შეგნებას.

**ლენინისა** და **სტალინის** ხელმძღვანელობით საქართველოს ბოლშევიკები მენშევიკური ბატონობის პერიოდში სათავეში ჩაუდგნენ მუშათა და გლეხთა ბრძოლას მენშევიკური უღლის დამხობისათვის, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ) **ლენინ-სტალინის** დროშის ქვეშ გააჩაღა ბრძოლა ქართველი ხალხის ყველა მტერთა განადგურებისა და მოსპობისათვის, საქართველოს გადაქცევისათვის აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად.

რას წარმოადგენდა საქართველო წარსულში?

იგი იყო რუსეთის ცარიზმის ჩამორჩენილი ნახევრადმათხოვრული კოლონია, სადაც მეფის ჩინოვნიკები ქართველ თავადებთან, მემამულეებთან, კულაკებთან და კაპიტალისტებთან კავშირში ულმობელად ეწეოდნენ ხალხის ექსპლოატაციას, უხეშად ჰქელავდნენ ფეხქვეშ მუშებისა და გლეხების უაღრესად ელემენტარულ უფლებებს, აბუჩად იგდებდნენ მათს ადამიანურ ღირსებას.

ქართველმა მენშევიკებმა თავისი ბატონობის წლებში მთლად გააპარტახეს ქვეყანა, გადააქციეს იგი მტაცებლური ექსპლოატაციის ობიექტად დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებისათვის.

საქართველოს მშრომელნი ჰგმინავდნენ კოლონიური ჩაგვრისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციის ორმაგი უღლის ქვეშ.

ახლა კი საბჭოთა საქართველო წარმოადგენს აყვავებულ რესპუბლიკას, განვითარებული სოციალისტური მრეწველობითა და მოწინავე სასოფლო მეურნეობით. მარტო პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში საქართველოს სახალხო მეურნეობაში დაბანდებულია 3 მილიარდ მანეთზე მეტი.

მრეწველობის წინათ არსებული დარგების (მარგანეცი, ქვანახშირი) ძირფესვიან რეკონსტრუქციასთან და გაფართოვებასთან ერთად, შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობისა (კერძოდ, ჩაის და მევენახეობის მოწყობილობისა), ფეროშენადნობის, ცემენტის, ნავთის, საფეიქრო, საკონსერვო, შაქრისა, კეთილშობილი და იშვიათი ლითონების (ოქრო, დარიშხანი, მოლიბდენი) და არამადნეული წიაღისეულის (ბარიტი, გუმბრინი და სხვ.) მოპოვებისა.

საქართველოს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში თითქმის 20-ჯერ გაიზარდა.

რევოლუციამდე ელექტროგანათება წარმოადგენდა ფუფუნებას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისათვის. ახლა კი ილიჩის ნათურამ საქართველოს ყველაზე შორეულ რაიონებსა და სოფლებში მიაღწია. ამჟამად ელექტროენერგიის გამომუშავებამ საქართველოში 24-ჯერ გადააჭარბა ომამდელ დონეს.

განსაკუთრებით შესანიშნავია საქართველოს წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), განუხრელად ასრულებდა რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** მითითებებს, სწორად განსაზღვრა სოფლის მეურნეობის განვითარების ხაზი, საქართველოს ჰავისა და ნიადაგის პირობების შესაბამისად.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ფართო გაქნითარება ჰპოვეს უძვირფასესმა სუბტროპიკულმა და ტექნიკურმა კულტურებმა — ჩაიმ, ციტრუსებმა, ტუნგომ, ვაზმა, თამბაქომ, ევკალიპტმა, კეთილშობილმა დაფნამ, ეთეროვნებმა და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საფუძველს.

სწარმოებს უდიდესი მუშაობა კოლხიდის ამოსაშრობად. ახლო მომავალში კოლხიდის დაბლობი, რომელიც წარსულში მალარიის ბუდეს წარმოადგენდა, გადაქცეული იქნება აყვავებულ სუბტროპიკულ ბაღად.

საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. ყველა გლეხურ მეურნეობათა 77 პროცენტზე მეტი გაერთიანებულია სოციალისტურ მეურნეობებში — კოლმეურნეობებში, რომლებიც წარმოადგენენ შეძლებული და კულტურული ცხოვრების მკვიდრ ბაზას.

ორ მილიონნახევარ ჰექტარზე მეტი მიწა, რომელიც წარსულში თავადებს, მემამულეებს, კულაკებსა და სამღვდელოებას ეკუთვნოდა, გადაეცა გლეხობას უსასყიდლო სარგებლობაში.

საქართველოში სოციალისტური წყობილების გამარჯვებასა და განმტკიცებას შედეგად მოჰყვა მშრომელთა მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესება.

უმუშევრობა — მშრომელთა ეს საშინელი უბედურება ბურჟუაზიული წყობილების პირობებში — წარსულში ქართველი გლეხობის საკმაოდ დიდი ნაწილის ხვედრი იყო. ანხორციელებდა რა თავის კოლონიზატორულ პოლიტიკას, ცარიზმი ერეკებოდა ადგილობრივს მცხოვრებლებს საუკუნოობით მიჩვეული ადგილებიდან და მათს მიწებზე ასახლებდა კოლონისტებს. მკაცრი ექსპლოატაცია თავადაზნაურების, მემამულეებისა და კულაკების მხრივ აიძულებდა გლეხებს დიდი ხნით დაეტოვებინათ თავიანთი უბადრუკი მეურნეობები და ქალაქებში წასულიყვნენ. ამავე დროს, იმის გამო, რომ არ იყო რაოდენამდე მნიშვნელოვანი მრეწველობა, რომლის განვითარებაც ხელოვნურად ბრკოლდებოდა, ქართველი გლეხების ძლიერ დიდი რაოდენობა ვერ პოულობდა თავისი შრომის გამოყენებას საქართველოს ქალაქებში და იძულებული იყო სამუშაოდ წასულიყო შორს, თავისი სამშობლოს ფარგლებს იქით.

ახლა უმუშევრობისაგან კვალიც აღარ დარჩენილა. სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მძაფრმა აყვავებამ უზრუნველჰყო მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის აღმავლობა.

განუხრელად იზრდება მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასი. წლითიწლობით მატულობს კოლმეურნეობებში შრომადღის ღირებულება. საქართველოს ათეული კოლმეურნეობები მილიონერები გახდნენ. კოლმეურნეთა ფართო მასები უკვე გახდნენ შეძლებულნი და განაგრძობენ თავიანთი მატერიალური კეთილდღეობის შემდგომ განმტკიცებას.

ამჟამად მუშებსა, გლეხებსა და ინტელიგენციაში არავის არ შეიძლება გააჩნდეს ნასახიც კი ხვალინდელი დღის რწმენის უქონლობისა.

ჩვენი ქვეყნის ყოველი მოქალაქის წინაშე გადაშლილია თავისი შრომის, თავისი შემოქმედებითი ძალების გამოყენების ფართო შესაძლებლობა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყოველ სარბიელზე.

შეძლებულად და სამურად ცხოვრობენ ახლა საბჭოთა საქართველოს ხალხები.

წარსულში კერძო მესაკუთრეთა ინტერესებისათვის ხდებოდა საქართველოს იშვიათ საკურორტო სიმდიდრეთა მტაცებლური ექსპლოატაცია, ან მათ სრულებითაც არ იყენებდნენ.

ახლა საქართველო დამსახურებულად სარგებლობს ჯანმრთელობის სრულიად-საკავშირო კერის სახელით. საქართველოს მრავალრიცხოვანი ულამაზესი კურორტები კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლებითა და სანატორიუმებით წარმოადგენენ საქართველოს და მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა საყვარელ სამკურნალო და დასასვენებელ ადგილებს.

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებულია უდიდესი წარმატებანი კულტურის დარგში.

ქართულმა კულტურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა.

ამჟამად საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობისა და მოწინავე კულტურის ქვეყანაა. მთელ რესპუბლიკაში გატარებულია საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება დაწყებითი სკოლის ფარგლებში, ხოლო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში—არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში.

საქართველოს მრავალრიცხოვან დაწყებითსა და საშუალო სკოლებში სწავლობს 700 ათასამდე ბავშვი — მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შვილები.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს გახსნილი 20 უმაღლესი სასწავლებლის მიერ გამოშვებულია 15 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, პედაგოგი, არქიტექტორი, მეცნიერი მუშაკი.

ჰყვავდა ქართული ხელოვნება და ლიტერატურა. პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლებიც იჩენენ მუდმივს ყურადღებასა და მზრუნველობას მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების, რეჟისორების, აქტიორების, ხელოვნების ყველა მუშაკთა მიმართ, უზრუნველჰყვეს მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა.

აშენებულია თეატრების, კინოების, კლუბების, სამკითხველოებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა დიდი რაოდენობა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში, ისევე როგორც მეფის მთელ რუსეთში, ქალი იყო მონა, ისევე როგორც აქამდე იგი წარმოადგენს მონას ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ გაანთავისუფლა ქალი, გახადა იგი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. სტალინურმა კონსტიტუციამ სამუდამოდ განამტკიცა საბჭოთა ქალის დიდი უფლებანი.

საქართველოში ქალების საკმაოდ დიდი რაოდენობა დაწინაურებულია პასუხსაგებ სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ სამუშაოზე. ქართველი ქალი მამაკაცთან ხელიხელჩაკიდებული მიდის სამეურნეო, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში.

საქართველოს ბოლშევიკები განუხრელად ანხორციელებენ სტალინურ მზრუნველობას ქალზე—დედაზე, ბავშვთა ჯანმრთელობაზე, ჰქმნიან ყველა პირობას უზრუნველყოფილი და ბედნიერი დედობისათვის.

ქართველი ხალხი, რომელიც მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე გმირულად იცავდა თავის თავისუფლებას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა ნამდვილად თავისუფალი, სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი.

„მეგობრობა სსრ კავშირის ხალხთა შორის — დიდი და სერიოზული მონაპოვარია. ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური, არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს" (სტალინი).

ბოლშევიკთა პარტიის ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ხალხებმა — აზერბაიჯანელმა, სომეხმა, ქართველმა ხალხებმა—**ლენინურ-სტალინური** ნაციონალური პოლიტიკის დიადი პრინციპების განუხრელად განხორციელებით აღმოფხვრეს ნაციონალური შუღლი, რომელსაც წარსულში ცარიზმი, მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები აღვივებდნენ. ზრდიდნენ რა მასებს **ლენინურ-სტალინური** ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებმა შეჰქმნეს და განამტკიცეს ნაციონალური მშვიდობიანობა, „არნახული ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიულ წყობილებაში" (ლენინი).

მხოლოდ სოციალისტური წყობილება, მხოლოდ კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა) თანაბრად უზრუნველჰყოფს როგორც დიდ, ისე პატარა ხალხთა ნამდვილ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, რომლებიც საქართველოს სსრ შემადგენლობაში შედიან.

თავისუფალი ქართველი ხალხი ბოლომდე ერთგულია სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობისა. საბჭოთა საქართველო საბჭოთა კავშირის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს მშრომელები, მტკიცედ შემჭიდროვებულნი დიდი **სტალინის** გარშემო, გამსჭვალულნი საბჭოთა პატრიოტიზმის სულით, მზად არიან გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ ყოველ გათავხედებულ მტერს, რომელიც გაბედავს ჩვენი დიადი სამშობლოს წმინდათაწმინდა საზღვრების ხელის შეხებას.

ქართველი ხალხის დიადი გამარჯვებანი წარმოადგენენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიერ **ლენინურ-სტალინური** პოლიტიკის განუხრელად განხორციელების შედეგს.

საქართველოს ბოლშევიკებმა, რომლებიც აღზრდილნი არიან სოციალიზმის ყველა მტრისადმი შეურიგებლობის **ლენინურ-სტალინურ** ტრადიციებზე, უზრუნველჰყვეს განადგურება და მოსპობა მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების, ფედერალისტების და სხვა ანტისაბჭოთა პარტიების ნაშთებისა, ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა — პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტთა, — ტროცკისტ-ბუხარინული ბანდისა, რომელთაც განზრახვა ჰქონდათ წაერთმიათ ქართველი ხალხისათვის სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი, ხელახლა დაედგათ მისთვის ბურჟუაზიულ-მემამულური ექსპლოატაციის უღელი, გადაექციათ საქართველო დასავლეთ ევროპის იმპერიალიზმის კოლონიად.

საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ (ბოლშევიკებისამ), რომელსაც საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტი და დიდი **სტალინი** ხელმძღვანელობენ, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე დაამტკიცა, რომ იგი თავდადებით იბრძვის **ლენინ-სტალინის** დიადი იდეების განხორციელებისათვის, რომ მას შესწევს უნარი თანამიმდევრობით და ბოლომდე დაიცვას ხალხის საქმე.

აი რატომ აქვს საქართველოს კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას) უფლება იქონიოს იმედი ქართველი ხალხის ნდობისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში, იქონიოს იმედი, რომ ყველა ამომრჩეველნი ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ამომრჩეველს — კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ მზადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. არ უნდა იყოს არცერთი მოქალაქე, რომელიც თავის მოქალაქობრივ მოვალეობად არ ჩასთვლის ხელი შეუწყოს უკლებლივ ყველა ამომრჩეველთა მონაწილეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებში.

ვინც ისწრაფის იქით, რომ საბჭოთა საქართველო მიდიოდეს წინ სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აყვავებისაკენ, რომ იგი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ერთიან ოჯახში განაგრძობდეს განვითარებას კომუნიზმის გზით; ვინც ისწრაფის იქით, რომ საქართველოს ხალხები სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახში მიდიოდნენ თავისი მატერიალური და კულტურული დონის ახალი აღმავლობისაკენ, იგი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომუნისტსა და თანამგრძნობებს ისევე ერთსულოვნად მისცენ ხმა უპარტიო კანდიდატებს, როგორადაც მათ უნდა მისცენ ხმა კომუნისტ-კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა უპარტიო ამომრჩევლებს— ისევე ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტ კანდიდატებს, როგორადაც ისინი ხმას მისცემენ უპარტიო კანდიდატებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ამომრჩევლებს, რომ ყველანი, როგორც ერთი კაცი, მივიდნენ 1938 წლის 12 ივნისს საარჩევნო ყუთებთან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და აჭარისა და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატთა ასარჩევად.

**გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების დიად კავშირს —მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის მძლავრ დასაყრდენს!**

**გაუმარჯოს გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურ კონსტიტუციას!**

**გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!**

**გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინურ ბლოკს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში.**

**გაუმარჯოს სრულიად-საკავშირო კომუნისტურ პარტიას (ბოლშევიკებისას)!**

**გაუმარჯოს დიდ სტალინს!**

**საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი**

# ძლიერებისა და სიხარულის დემონსტრაცია

## საპირველმაისო პარადი

**მოსკოვი**, 2 მაისი (საკდესი). სადღესასწაულო ხალისითაა ალსავსე დედაქალაქი საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის დიადი დღის — პირველი მაისის დილით.

დიდებულად და სადად არის მორთული წითელი მოედანი.

დიდი ხნით ადრე პარადის დაწყებამდე გრანიტის ტრიბუნებზე კრემლის კედლის გაყოლებით იმყოფებიან დედაქალაქის საწარმოთა სტახანოველები და დამკვრელები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის გმირები, მწერლები, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწენი.

9 საათი და 30 წუთია. პარადის მეთაური საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ს. მ. **ბუდიონი** უვლის ჯარებს, ესალმება მათ.

საზეიმო სიჩუმე მეფდება მოედანზე. სრულ 10 საათზე მავზოლეის ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები— **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ანდრეევი, ჩუბარი, მიქოიანი, ეჟოვი, დიმიტროვი, შკირიატოვი, შვერნიკი, უგაროვი და ბულგანინი.** დიდხანს არ სცხრება მოედანზე მხიარული „ვაშა“ ყველა მშრომელთა დიდი ბელადისა და მეგობრის, ამხანაგი სტალინის პატივსაცემად, მის თანამებრძოლთა პატივსაცემად.

კრემლის სპასკის ალაყაფის კარიდან გამოდის თავდაცვის სახალხო კომისარი, საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. **კ. ე. ვოროშილოვი.**

მიიღო რა პარადის მეთაურის პატაკი, ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი უვლის ჯარებს და ულოცავს მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს პირველი მაისის დღესასწაულს. სახკომის მისალმებათა პასუხად გრიალებს მძლავრი, წითელარმიული „ვაშა“.

10 საათი და 15 წუთია. ჯარების ჩამოვლა დამთავრებულია. ამხ. კ. ე. ვოროშილოვი ადის მავზოლეის ტრიბუნაზე. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის სახელით და დავალებით ამხ. კ. ე. ვოროშილოვი ულოცავს მშრომელთ პირველი მაისის საერთაშორისო დღესასწაულს.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათასობით ახალგაზრდა მებრძოლნი, ჩამწკრივებულნი მოედანზე, საზეიმო ალთქმას აძლევენ თავის მუშურ-გლეხურ მთავრობას ერთგულებაზე, დიდი საბჭოთა სამშობლოს ერთგულებაზე.

საზეიმო ალთქმა წარმოთქმულია. ამხ. კ. ე. ვოროშილოვი ამთავრებს სიტყვას. მძლავრად გაისმის „ვაშას“ გუგუნი. ისმის „ინტერნაციონალი“, ქვემეხთა გრგვინვა არყევს ჰაერს. იწყება საზეიმო მარში.

მარშს იწყებს თავდაცვის სახალხო კომისარიატის სამმართველოების უფროსთა შემადგენლობის ნაკრები პოლკი. შემდეგ მიდიან სამხედრო აკადემიის მსმენელები.

მტკიცეა მოსკოვის პირველი მსროლელთა დივიზიის მებრძოლთა ნაბიჯი. ისინი გვიჩვენებენ საბრძოლო მომზადების ნიმუშს, რაც წითელ ქვეითა ჯარს უძლეველ ძალად ხდის.

ტრიბუნიდან მხურვალედ ესალმებიან შინსახკომის ჯარების სახელოვან ნაწილებს და სახელოვან მენაპირეებს — საბჭოთა საზღვრების ფხიზელ გუშაგებს.

მკვიდრო მწკრივებად მიემართებიან წითელდროშოვანი ბალტიკის მეზღვაურები, მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოწინავე რაზმის წარმომადგენლები.

ტრიბუნაზე შეკრებილნი მხურვალედ ესალმებიან მოსკოვის მუშათა შეიარაღებული რაზმების გამოჩენას. მოდიან მფრინავები და პარაშუტისტები. მათ შორის ქალებიც საკმაოდ ბევრია.

მწყობრ მწკრივებად მოდიან წითელი ცხენოსნები, პირველი ცხენოსანი არმიის სახელოვანი ტრადიციების მატარებელნი, იმ არმიისა, რომელიც შექმნილია პროლეტარული რევოლუციის უდიდესი სტრატეგის ამხანაგ სტალინის მიერ.

გრიალით მოჰქრიან ტაჩანები.

ჩუმად მოსრიალებენ მოედანზე თვითმგორავები. სწრაფად მოჰქრიან მოტოციკლისტები.

აი გამოჩნდა არტილერიაც, რომელიც საერთო ყურადღებას იპყრობს. წითელი არმიის საარტილერიო შეიარაღება ძლიერი და სხვადასხვანაირია.

პირველხარისხოვანი მძლავრი ტექნიკის პარადს ტანკები ამთავრებენ.

დღის 12 საათისთვის პარადი დასრულდა. ეს იყო მუშურ-გლეხური წითელი არმიის ძალისა და ძლიერების შესანიშნავი დემონსტრაცია, არმიისა რომელიც უსაზღვროდ ერთგულია თავისი დიდი სამშობლოსი, **ლენინ-სტალინის** სახელოვანი ბოლშევიკური პარტიისა, თავისი მშობლიური, საყვარელი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის — ამხანაგ **სტალინისა.**

## დემონსტრაცია წითელ მოედანზე

უკანასკნელნი სტოვებენ წითელ მოედანს უზარმაზარი ტანკები. ტანკებს მოჰყვა დემონსტრანტების მღელვარე ტალღები. მაგრამ სსრ კავშირის სამხედრო ძლიერების დათვალიერება ჯერ კიდევ გრძელდება ჰაერში. ისტორიული მუზეუმის თავზე გამოჩნდნენ თვითმფრინავები. სწრაფად მოჰქრიან მოიერიშე და გამანადგურებელი აჭიაციის ესკადრილიები. დემონსტრანტები მხურვალედ ესალმებიან საბჭოთა ქვეყნის ამაყ შავარდნებს.

...ალისფერი დროშები და ბაირაღები ელვარებენ წითელ მოედანზე. ათიათასობით დემონსტრანტებიავსებენ მოედანს სადღესასწაულო ზეიმითა და მხიარული შეძახილებით. მოსკოველები სალამს უძღვნიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც მავზოლეის მარცხენა ფრთაზე იმყოფებიან. სიყვარულისა და ერთგულების სიტყვებს უგზავნიან სოციალიზმის გამარჯვებათა ბრძენ სულისჩამდგმელს ამხანაგ სტალინს.

მოსკოველებთან ერთად ერთერთ მოწინავე კოლონაში მიაბიჯებენ ლენინის ქალაქის მუშათა წარმომადგენლები, ჩამოსულნი დედაქალაქში საპირველმაისო ზეიმზე. „სალამი დიდ სტალინს!“ აწერია მათს ცაშკაშა პლაკატს.

განსაკუთრებული სიყვარულითა და აღფრთოვანებით ესალმებიან დემონსტრანტები უცხო ქვეყნების მუშათა კლასის წარმომადგენლებს, განსაკუთრებით გმირი ესპანელი ხალხის წარმომადგენლებს. ამის პასუხად ესპანელები და სხვა უცხოელი დელეგატები მაღლა სწევენ მუშტებს და პირობას იძლევიან განაგრძონ ბრძოლა მტრებზე სრულ გამარჯვებამდე.

დემონსტრანტებს ამაყად მოაქვთ პლაკატები და ლოზუნგები, მიძღვნილი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი.

წმინდა სიძულვილსა და გულისწყრომას გამოხატავენ მშრომელები იაპონურ-გერმანული ფაშიზმის დაქირავებულებისადმი — ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდის საზიზღარი გადაგვარებულებისადმი. საბჭოთა ხალხი მხურვალედ ესალმება სახელოვან შინსახკომელებს და მათ მებრძოლ სტალინურ სახკომს ნ. ი. ეჟოვს.

მოდიან დედაქალაქის ყველა 23 რაიონის სადღესასწაულოდ მორთული საპირველმაისო კოლონები. მოდიან დედაქალაქის ახალ ხიდთა მშენებლები, მეტროს მშენებლები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, მოწაფეები, ფაბრიკა-ქარხნების, სამეცნიერო ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, მუშფაკების, კინოსტუდიებისა და თეატრების კოლექტივები.

ათასობით ტრანსპარანტი და პლაკატი იუწყება ღირსშესანიშნავი დღის 26 ივნისის მოახლოებას, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის მოახლოებას. ლოზუნგები მოუწოდებენ განმტკიცებულ იქნას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკი. წითელი მოედნიდან უკანასკნელი მიდის უცხოეთის დელეგაცია. იგი ეწყობა კოლონად და გმირული ესპანეთის წითელი საბრძოლო დროშით ჩაივლის მავზოლეისთან. მათ მაღლა აქვთ აღმართული მუშტები. დელეგაცია მხურვალე სალამს უძღვნის დიდ სტალინს და საბჭოთა მთავრობის წევრებს, დიად საბჭოთა ხალხს.

ოთხ საათს გაგრძელდა საპირველმაისო კოლონების ჰსვლელობა სოციალიზმის ქვეყნის დიადი ხალხის მორალური და პოლიტიკური ერთობის ეს შესანიშნავი დემონსტრაცია. წითელ მოედანზე გაიარა მილიონნახევარზე მეტმა კაცმა. (საკდესი).

## ქ რ ო ნ ი კ ა

ა. წ. 28 აპრილს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ხელმოწერილ იქნა სსრ კავშირსა და ფინეთს შორის სახელმწიფო საზღვრის ხაზის გავლების საერთო ოქმი. ეს ოქმი აჯამებს საზღვარზე ახალი სასაზღვრო ნიშნების დადების იმ სამუშაოთა შედეგებს, რომლებიც სწარმოებდა საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმებით.

ოქმს ხელი მოაწერეს აღნიშნულ სამუშაოთა ხელმძღვანელი შერეული კომისიის თავმჯდომარეებმა — ამხ. გ. ვაინშტეინმა—სსრ კავშირის მხრით და გ. ა. მანერმა—ფინეთის მხრით.

---

1938 წლის 5 მაისს, სალამოს სრულ 7 საათზე, წითელი არმიის სახლში (რუსთაველის პროსპექტი, № 10), მოწვეულია **პარტიულ-კომკავშირული და პროფკავშირული აქტივის კრება პრესის მუშაკებთან ერთად.**

კრებაზე მოსმენილი და განხილული იქნება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის ამხ. ვ. ხატიაშვილისა და „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის ამხ. ვ. გრიგორიანის მოხსენებები.

მოწვეულ ამხანაგთა დასწრება სავალდებულოა.

---

## სსრკ თავდაცვის სახალხო კომისრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა 1938 წლის 1 მაისის პარადზე



ამხანაგო წითელარმიელებო, მეთაურებო, კომისრებო და პოლიტმუშაკებო! ამხანაგო მუშებო და მუშა-ქალებო, კოლმეურნეებო და კოლმეურნე-ქალებო! სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სტახანოველებო! ამხანაგო ინჟინრებო და ტექნიკოსებო, მეცნიერნო და ხელოვნების მუშაკნო! ამხანაგო წარმომადგენლებო საზღვარგარეთის ქვეყნების მშრომელებისა — ჩვენო ძვირფასო სტუმრებო!

სრულიად-საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხური მთავრობის სახელითა და დავალებით მოგესალმებით თქვენ ყველას მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაულის — პირველი მაისის გამო.

ამხანაგებო! დღეს მთელი ჩვენი დიადი ხალხი — ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებელი ხალხი, დღესასწაულობს რა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, კვლავ და კვლავ შეაჯამებს თავის გამარჯვებებს სოციალიზმის მშენებლობის ყველა უბანზე.

და ახლაც ისე, როგორც ყოველთვის, ეს შედეგები ბრწყინვალეა. სოციალიზმის ხომალდი, აპობს რა სიძნელეთა ტალღებს, ჰგვის რა თავის გზიდან მთელს ნაგავს, განუხრელად და სწრაფად მიდის წინ.

ამხანაგებო! საბჭოთა სახელმწიფოს ობრივი გემი კარგად არის შეჭურვილი. მისი კომანდა — ეს არის ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტია, **ლენინ-სტალინის** პარტია. ამ მშვენიერი, საუცხოო, თავისი ძლიერების საქმით დამადასტურებელი კომანდის სათავეში სდგას დიდი მესაჭე — ჩვენი შეუდარებელი დიდი **სტალინი.**

ამხანაგებო! ასეთი გემისათვის საშიში არ არის არც მორევი გარეშე ავანტურათა, რომელთა მსურველები ცოტანი როდი არიან ამ ბოლო დროს, არც მეჩეჩები შინაური ბილწი გამცემლებისა, რომელთაც ჩვენი მთავრობა, პარტია, მთელი ხალხი ულმობლად ანადგურებენ.

ჩვენი სახელმწიფოს ძლიერება განუწყვეტლივ იზრდება. წითელი არმია და სამხედრო - საზღვაო ფლოტი თვალმახვილად და მრისხანედ სდგანან საბჭოთა ქვეყნის საზღვრებზე, მზადმყოფნი ყოველ წუთს მოქმედებისათვის აგრესიული მტრის წინააღმდეგ.

საბჭოთა დიადი ხალხი, მთავრობა, ბოლშევიკური პარტია, არმია და ფლოტი წინანდებურად იმავე ძალით მხარს უჭერენ მშვიდობიანობას მთელს ქვეყანაში. დღეს მთელი ჩვენი ხალხი ალშფოთებას გამოხატავს ყველა აგრესორისა და მოძალადისადმი, ომის ყველა გამჩაღებლისა და მკვეთებლისადმი.

დღეს, როგორც ყოველთვის, მაგრამ დღეს უფრო მხურვალედ, ჩვენ საბჭოთა ძმურ სალამს ვუგზავნით მამაც გმირებს—თავიანთი დამოუკიდებლობისათვის, სიცოცხლის უფლებისათვის მებრძოლთ, და გმირული ესპანეთისა და დიდი მამაცი ჩინეთის მთელ ხალხს.

ამხანაგებო! დღეს მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის ახალგაზრდა მებრძოლთა ფიცის მიღების დღეა.

გაიმეორეთ ჩემთან ერთად ფიცის სიტყვები, თქვენი მუშურ-გლეხური მთავრობისადმი ერთგულების, დიადი საბჭოთა სამშობლოსადმი ერთგულების ფიცისა.

(ამხ. **ვოროშილოვი** კითხულობს ფიცის ტექსტს, რომელსაც ყველა ახალგაზრდა წითელარმიელი იმეორებს).

ამხანაგო ახალგაზრდა წითელარმიელებო! მოგილოცავთ სრულუფლებიან მებრძოლებად შესვლას ჩვენს არმიაში, გამარჯვებული სოციალიზმის არმიაში. არ მეეჭვება, რომ თქვენ გაამრავლებთ ჩვენი მამაცი არმიის ძლიერებასა და ძალას, რომ თქვენ ისე, როგორც თქვენი უფროსი ძმები და მამები, მახვილად ადევნებთ თვალს ჩვენი დიადი სამშობლოს საზღვრებს და, თუ მტერმა განიზრახა მისი ხელყოფა, მკერდით დაიცავთ მას და მტერს განგმირავთ ჩვენი დიადი მუშურ-გლეხური წითელი არმიის იარაღით.

გაუმარჯოს პროლეტარული სოლიდარობის საერთაშორისო დღესასწაულს!

გაუმარჯოს მთელი ქვეყნის მშრომელებსა და ჩაგრულებს!

გაუმარჯოს ძლიერს საბჭოთა ხალხს!

გაუმარჯოს მამაც მუშურ-გლეხურ წითელ არმიას და სახელოვან სამხედრო - საზღვაო ფლოტს!

გაუმარჯოს ბრძენ და სახელოვან **ლენინ - სტალინის** პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს ბრძენს, დიდ **სტალინს!** ვაშა!!!

---

## კოლმეურნეობათა ანგარიშგების შესახებ

### სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის მიწსახკომისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ 1937 წელს შემოღებულ კოლმეურნეობის პერიოდული ანგარიშგების ფორმები მეტად გაზვიადებული და დიდია, ამასთან კოლმეურნეობებს წლის განმავლობაში უნდა წარედგინათ ცნობები 31, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში 50 ფორმითაც კი, სადაც უნდა შეევსოთ რამდენიმე ათასი რიცხვობრივი მაჩვენებელი. ამ ცნობების უმეტესობა სავსებით ზედმეტია, მას არევდარევა შეაქვს საკოლმეურნეო ანგარიშგებაში და ამით ზიანს აყენებს კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობის საქმეს.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს სსრ კავშირის მიწსახკომისა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ 1937 წელს შემოღებული საკოლმეურნეო პერიოდული ანგარიშგების ფორმები, როგორც სავსებით უმართებულო.

2. დაწესდეს კოლმეურნეობათა პერიოდული ანგარიშგების შემდეგი ფორმები: 11—ყველა კოლმეურნეობისათვის და 3 — დამატებითი, მხოლოდ მებამბეობისა და მესელეობის რაიონებისათვის.

ფორმა № 1. ანგარიში კოლექტივიზაციის მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 2. ანგარიში საგაზაფხულო თესვის სამზადისის მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 3. ანგარიში საგაზაფხულო მუშაობისა და საგაზაფხულო თესვის მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 4. დასკვნითი ანგარიში მიმდინარე წლის თესვის შედეგთა შესახებ.

ფორმა № 5. მიმდინარე წლის ხარისხოვანი ნათესები.

ფორმა № 6. ანგარიში ნასვენის აოზვისა, გამარგვლისა და თივის ალების მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 7. ანგარიში პურეულის ალების, საშემოდგომო კულტურების თესვისა და მზრალად ხვნის მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 8. ანგარიში იმის შესახებ, თუ რა პირი უჩანს მარცვლეულს და ტექნიკური კულტურებისა და ბალახის მოსავალს.

ფორმა № 9. ანგარიში მარცვლეული და ზეთოვანი კულტურების ლეწვის მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 10. ანგარიში ყამირის ათვისებისა და მდელოებისა და საძოვრების გაუმჯობესების შესახებ.

ფორმა № 11. ანგარიში კოლმეურნეობაში მეცხოველეობის მდგომარეობის შესახებ.

ფორმა № 12. ანგარიში საშემოდგომო-საზამთრო და ადრიანი საგაზაფხულო მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 13. ანგარიში ბამბის სავეგეტაციო მორწყვისა, დამუშავებისა და მოვლის სხვა სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ.

ფორმა № 14. ანგარიში მაღალი სელის ალებისა და გადამუშავების მიმდინარეობის შესახებ.

3. აეკრძალოს ყველა ორგანიზაციას ამ დადგენილებით გაუთვალისწინებელ რაიმე ანგარიშგების მოთხოვნა კოლმეურნეობათაგან.

**სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი**

**სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ნ. პეტრუნიჩევი**

მოსკოვი, კრემლი
1938 წლის 28 აპრილი.

---

## სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

### სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონული დამმზადებელი აპარატის განმტკიცების შესახებ.

იმის გამო, რომ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულთა აპარატში არსებული ინსპექტურა სავალდებულო ჩაბარებათა შესახებ არასაკმაოდ და არასაკმაოდ სებით უზრუნველჰყოფს სახელმწიფოსათვის სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებათა სათანადო გატარებას, სსრკ სახკომსაბჭომ დაადგინა დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულთა ინსპექტორების ინსტიტუტის ნაცვლად შექმნას დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულთა აგენტების ინსტიტუტი სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ხაზით მომსახურების უბნის ერთერთ სოფელში აგენტის მუდმივი საცხოვრებელი ადგილით.

სახელმწიფო ჩაბარებათა აგენტების დანიშვნა, გადაყვან-გადმოყვანა და დათხოვნა უნდა ხდებოდეს დამზადებათა სახალხო კომისარიატის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური რწმუნებულების მიერ დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულთა წარდგინებით.

სახელმწიფო ჩაბარებათა ერთმა აგენტმა მომსახურება უნდა გაუწიოს მეურნეობათა განსაზღვრულ რაოდენობას იმის მიხედვით, თუ რა ოდენობისაა დასახლებული პუნქტები: 700-დან 1000 მეურნეობამდე, 1000-დან 1200 მეურნეობამდე და 1200-დან 1500 მეურნეობამდე.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაადგინა აგრეთვე — გაუქმდეს შტატი დამზადებათა სახალხო კომისარიატის რაიონულ რწმუნებულთა ინსპექტორებისა დეცენტრალიზებულ დამზადებაზე, გადაყვანილ იქნან რა ისინი სახელმწიფო ჩაბარებათა აგენტებად.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო სახელმწიფო ჩაბარებათა აგენტებისათვის, გარდა ძირითადი ხელფასისა, შემოღებულ იქნას დაჯილდოება კარგი მუშაობისათვის.

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულებს, იმ საქმეში დამამზადებელი ორგანიზაციების მიმღები პუნქტების მუშაკთა ჩაბმით, 1 ივლისამდე სრულ წესრიგში მოიყვანონ ხორცის, რძისა და ერბო-კარაქის ჩამბარებელთა პირადი ანგარიშები, აგრეთვე შეადგინონ 1 ივლისისათვის სიები ვალდებულებათა შესრულებისა თვითეულ მეურნეობაში.

იმ მიზნით, რათა მიმღები პუნქტები დაუახლოვდეს ჩამბარებლებს, სსრ კავშირის კვების სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა მუდმივ ბაზად გადააქციოს „ზაგოტსკოტისა“ და „გლავმიასოს“ არსებული 600 დროებითი დამამზადებელი ბაზა (იქ, სადაც რაიონში სხვა ბაზა არ არის) და დამატებით გახსნას 360 დამამზადებელი ბაზა. (საკდესი).

---

## პირველი მაისის დღესასწაული თბილისში

### ძლიერებისა და სიხარულის მარში

სწორ გეომეტრიულ ფიგურებად დაწყობილიყვნენ უძლეველი წითელი არმიის ნაწილები საქართველოს დედაქალაქის გულის—ფედერაციის მოედნის გაკრიალებულ ასფალტზე. მოედნის ქვემოთა მხარეს, მარმარილოს ტრიბუნაზე თავს იყრიდნენ პარტიისა და ხელისუფლების ხელმძღვანელნი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოედნის ირგვლივ ქვაფენილებიც სავსეა ხალხით. აქ წარმოუგზავნიათ საუკეთესო წარმომადგენლები თბილისის მშრომელებს—მუშებს, მეცნიერებს, დიასახლისებს.

სადაცაა ათი საათი შესრულდება და უნდა დაიწყოს გარნიზონის ნაწილთა პარადი. მოედანზე გამოჩნდა ორდენებით მკერდდამშვენებული გარნიზონის უფროსი ამხ. კნიგა. იგი სარდლობს საპირველმაისო პარადს.

ჩამოუარა მან ნაწილებს, მიესალმა ყველას და დაბრუნდა თუ არა მოედნის ცენტრში, საათმაც ათჯერ დარეკა.

საოლქო შტაბის შენობის ალაყაფის კარიდან გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, კორპუსის მეთაური ამხ. ტიულენევი.

— სმენა!

გაისმა პარადის სარდლის ძახილი და ქანდაკებასავით გაჩერდნენ მებრძოლთა მწყობრები ვეებერთელა მოედანზე. წუთით დამკვიდრდა სრული სიჩუმე, რომ ცოტა ხნის შემდეგ „ვაშასა“ და „ურას“ ძახილით დარღვეულიყო იგი. ჯარების სარდალმა ამხ. ტიულენევმა მიიღო პარადის სარდლის პატაკი და დაიწყო ნაწილების ჩამოვლა:

— გამარჯობათ ამხანაგებო,— მიესალმებოდა სარდალი ნაწილებს და საპასუხოდ გაისმოდა წითელარმიელთა მქუხარე მისალმების ხმა და „ვაშას“ ძახილი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ჰქუხდა მოედანი და ნაწილიდან ნაწილზე გადადიოდა „ვაშას“ ძახილის ქარიშხლისებური ტალღა. სარდალმა დაამთავრა ნაწილების ჩამოვლა. იგი ავიდა ტრიბუნაზე მიკროფონთან.

ტრიბუნაზე არიან ამხანაგები ლ. ბერია, ვ. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, ს. გოგლიძე, გ. სტურუა, ვ. დეკანოზოვი, ი. კოჩლამაზაშვილი, ქობულოვი, ს. ხოშტარია, ს. იმხანოვი, მ. გვიშიანი, ა. ჯორბენაძე, პ. შარია, კ. ჩარკვიანი, ს. მამულოვი, მირცხულავა, თ. ბირკაძე, ორდენოსნები—აკ. ხორავა, ა. ვასაძე, მ. ჭიაურელი და სხვ.

პარადის მიღების შემდეგ, ა. კ. სამხედრო ოლქის სარდალმა, კორპუსის მეთაურმა ამხ. ტიულენევმა მოედანზე მიკროფონთან წარმოსთქვა სიტყვა. პარადზე გამოსულ მებრძოლებს მან მიულოცა მუშათა კლასის საერთაშორისო დღესასწაული—პირველი მაისი საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს მთავრობისა და ა.-კ. სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს სახელით.

— სულ რამდენიმე თვის წინათ, —სთქვა სარდალმა,—ჩვენმა დიადმა ქვეყანამ იდღესასწაულა თავისი არსებობის სახელოვანი 20 წლისთავი. შარშან, 12 დეკემბერს მოწმენი ვიყავით მეორე დიდი, უმაგალითო საყოველთაო-სახალხო ზეიმისა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისა, როდესაც მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა თავის ნდობა და უსაზღვრო ერთგულება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, ჩვენი კონსტიტუციის შემომქმედის, ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინისადმი. გასულ თებერვალში ჩვენმა ქვეყანამ იზეიმა თავისი საყვარელი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებობის 20 წლისთავი. ეს ისტორიული თარიღები ჩვენი ბედნიერი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში მოწმობენ ჩვენს სიძლიერესა და სოციალიზმის ქვეყნის, სტალინური კონსტიტუციის ქვეყნის უძლეველობას. უძლეველია ჩვენი ქვეყანა, რადგან მას ჰყავს უძლეველი წითელი არმია, რადგან ამ არმიასთან არის მთელი საბჭოთა ხალხი.

ახლა მოკავშირე რესპუბლიკები ემზადებიან თავიანთი უმაღლესი საბჭოების არჩევნებისათვის. კიდევ უფრო ბრწყინვალედ უნდა ჩავატაროთ ეს არჩევნები და უმაღლეს საბჭოებში ავირჩიოთ ლენინ-სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგულნი. ამხანაგებო, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ დიდი სტალინის რჩევა. იგი გვასწავლის, რომ ჩვენ კაპიტალისტურ გარემოცვაში ვიმყოფებით, რომ ჩვენი მტრები ყოველთვის მოინდომებენ შემოგზავნონ ჩვენს ქვეყანაში თავიანთი აგენტები და დაცყაუძლურონ. მტრების ასეთი ცდების საპასუხოდ კიდევ უფრო შევამჭიდროოთ ჩვენი რიგები, კიდევ უფრო გავამახვილოთ რევოლუციური სიფხიზლე. ჩვენი ლოზუნგია — სიკვდილი ხალხის მტრებს! საბჭოთა ხალხი მოსპობს და აღგვის პირისაგან მიწისა თავის მტრებს. საბჭოთა ხალხი გაიმარჯვებს. ჩვენ მშვიდობიანობის მომხრე ვართ, მაგრამ თუ გათავხედებულმა მტერმა განიზრახა ჩვენი დარტყმა, გამანადგურებელი დარტყმითვე ვუპასუხებთ.

დღეს ჩვენი სახელოვანი წითელი არმია გამოდის მშრომელი ხალხის წინაშე, რათა დაუდასტუროს მას, რომ მზად არის გაანადგუროს ჩვენზე თავდამსხმელი მტერი. მომავალ ბრძოლებში გასამარჯვებლად ჩვენ გვაქვს ყველა პირობა.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ხალხებს, გაუმარჯოს მზიური ორდენოსანი საქართველოს ხალხს!

გაუმარჯოს საკავშირო კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას!

გაუმარჯოს კომინტერნს!

გაუმარჯოს თავდაცვის სახალხო კომისარს ამხანაგ ვოროშილოვს!

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელს, ბელადსა და მასწავლებელს, დიდ სტალინს!

„ვაშას“ ძახილმა და ორკესტრთა „ინტერნაციონალის“ ხმამ დაისადგურა მოედნის არემარეში. ბოლოს მიწყნარდა ორკესტრების ხმა, „ვაშას“ ძახილიც.

დადგა ახალგაზრდა მებრძოლების მიერ საზეიმო ალთქმის მიღების დრო.

პარადის სარდალი ამბობს საზეიმო ალთქმის სიტყვებს და მწყობრად იმეორებენ ამ სიტყვებს გარნიზონის ნაწილები. გაისმა პარადის სარდლის განკარგულება:

— საზეიმო გავლისათვის... ნაბიჯით, იარ!

დაიგუგუნა გარნიზონის ნაკრებმა ორკესტრმა. წარმტაცი და აღმაფრთოვანებელი მუსიკის ტაქტზე დაიძრნენ სამხედრო სასწავლებლის მწყობრი რიგები, მათ მოჰყვებიან ქვეითა ნაწილები, სპეციალური დანიშნულების მებრძოლთა ფოლადისებური კოლონები, ცხენოსნები, ყველა სხვა სახის იარაღის წარმომადგენლები. მოდის დიადი საბჭოეთის საუცხოოდ შეიარაღებული, ჯანსაღი, განსწავლული და უძლეველი არმია.

მოედანზე ნაწილები ნაწილებს სცვლიან, ერთი სახის იარაღი მეორეთი იცვლება. მწყობრი რიგების საზეიმო მარში გრძელდება. ამ დროს მაღლა ჰაერში გამოჩნდნენ თვითმფრინავები. ყველა შესცქერის სახელოვან შევარდნებს.

ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა სამხედრო ნაწილების გავლა. ეს იყო ჩვენი ქვეყნის ძლიერებისა და უძლეველობის დემონსტრაცია, დიადი არმიის საზეიმო მარში.

დაცალიერდა მოედანი, მაგრამ დიდი ხნით არა.

აგერ გამოჩნდნენ ფერად ქულაჯებში გამოწყობილ ფიზკულტურელთა კოლონები. ვეებერთელა მოედანზე გამოვიდნენ ისინი და დაიწყეს ვარჯიში. ჯერ რგოლებზე ივარჯიშეს, შემდეგ „პირამიდები“ გვიჩვენეს და ბოლოს მასობრივი ფიზკულტურული ვარჯიში.

ამ დროს დემონსტრანტთა კოლონები უკვე უახლოვდებოდნენ მოედანს.

აურაცხელი დროშებით, ტრანსპარანტებით, სადღეისო ლოზუნგებით, ყვავილებით და მუსიკით მოდიოდნენ თბილისის მშრომელები საპირველმაისო დემონსტრაციაზე.

მოედანზე შემოვიდნენ ერთი მხრიდან ლენინის რაიონისა და მეორე მხრიდან სტალინის რაიონის მშრომელთა ფერად-ფერადი კოლონები. ყველაფერმა, რითაც ცხოვრობს მთელი ქვეყანა, რაც ახარებს და აღელვებს მას, რაც უყვარს მთელ საბჭოთა ხალხს, ყველაფერმა ჰპოვა გამოსახულება დემონსტრანტთა კოლონების გაფორმებაში.

— ძირს ფაშიზმი, სიკვდილი ხალხის მტრებს, — იუწყებოდნენ პლაკატები ბედნიერი საბჭოთა ხალხის საერთო სურვილსა და გადაწყვეტილებას.

განსაკუთრებით სჭარბობდნენ ამ დღეს საარჩევნო ხასიათის ლოზუნგები. მშრომელნი ადასტურებდნენ თავის მზადყოფნას ლენინ-სტალინის საქმისათვის თავდასადებად.

— გაუმარჯოს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკს საქართველოს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში!

პატარა პიონერებსაც მოაქვთ ლოზუნგები, მოაქვთ ბელადის სურათები, ყვავილები და მადლობის გრძნობები:

— მადლობა დიდ სტალინს ბედნიერი საბჭოთა ბავშვებისაგან!

კოლონებს ბოლო არ უჩანს, სიხარულისა და ბედნიერების დემონსტრაცია გრძელდება. ლენინისა და სტალინის რაიონების მშრომელთა კოლონებს ორჯონიკიძისა და კიროვის რაიონების მშრომელნი მოჰყვებიან. შემდეგ მოდიან 26 კომისრის სახელობის რაიონის მშრომელთა კოლონები.

მოედანზე ზეიმი მთავრდება. გაზაფხულის სიო არხევს წითელ ალამს არმიის შტაბის შენობის თავზე.

ამხანაგი ლ. ბერია, ვ. ბაქრაძე, ფ. მახარაძე, ტიულენევი და სხვები ჩამოდიან ტრიბუნიდან.

თბილისის მშრომელთა გრანდიოზული დემონსტრაცია დამთავრდა.

## პარტიული ცხოვრება

# ვამხილოთ ნაკლოვანებანი, გავაუმჯობესოთ პარტიული მუშაობა

## ჩვენი სიტყვა, ჩვენი წინადადებები

### თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია საანგარიშო-საარჩევნო კრების წინ.

მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა საქართველოს კოლმეურნეობებს შორის ერთერთი მოწინავე კოლმეურნეობაა, რომლის წლიური შემოსავალი 5 მილიონ მანეთს აღემატება. ამჟამად კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია მეტად პასუხსაგებ პერიოდშია. დღეს მან ანგარიში უნდა ჩააბაროს თავის წევრებს და არჩეულ უნდა იქნას პარტიული ორგანიზაციის ახალი ხელმძღვანელობა. ამ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის სანიმუშოდ ჩატარებისათვის პარტორგანიზაცია გულმოდგინეთ ემზადება.

პარტიულ ორგანიზაციაში 28 წევრი, 15 კანდიდატი. თანამგრძნობთა ჯგუფში კი 15 კაცი. კოლმეურნეობის წევრთა რიცხვი 737 კაცს შეადგენს. მათ შორის პარტიულ-მასობრივი მუშაობა არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. მოსავლის გადიდებისა და სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის კოლმეურნეობა ჯერ კიდევ სუსტად იბრძვის. კომუნისტები ჯერ კიდევ ვერ იჩენენ საჭირო აქტივობას, დაბალია მათი ავანგარდული როლი. მაგრამ ამაზე და კიდევ სხვა საკითხებზე მოვუსმინოთ თვით ამ პარტორგანიზაციის წევრებს.

**ბეგლარ კვანტალიანი**
პარტკომის მდივანი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციამ გულდასმით გადასინჯა პარტიიდან გარიცხულთა საქმეები. ჩვენ აღვადგინეთ ცილისწამების ნიადაგზე გარიცხული ზ. ალადაშვილი და შეამდგომლობა აღვძარით ამხ. კოდნაშვილისა და წკრიალაშვილის შესახებ. გარდა ამისა, ეს ამხანაგები ჩავაბით პოლიტსკოლაში და ყოველმხრივ ვეხმარებით მათ.

კოლმეურნეობიდან წევრთა გარიცხვის საქმეში ჩვენ დავუშვით უხეში შეცდომები. 5 იანვარს ერთ კრებაზე 23 კომლი ერთბაშად გავრიცხეთ, მაგრამ შემდეგ ზოგიერთი მათგანი ისევ აღვადგინეთ. საქ. სახკომსაბჭოსა და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე ხელი მოვკიდეთ კოლმეურნეობიდან გარიცხულთა საქმეების შესწავლას. ვასწორებთ მოსავლის განაწილების დროს დაშვებულ შეცდომებს. საკოლმეურნეო მშენებლობის სტალინური წესდების დარღვევის შესახებ პარტორგანიზაციამ გამოიტანა დადგენილება, მაგრამ მისი შესრულების შემოწმება ჯერ არ მოგვიხდენია.

ჩვენი მუშაობის სუსტ უბანს წარმოადგენს პარტწევრობის კანდიდატების ხელმძღვანელობის საკითხი. ჩვენ პარტიის წევრობის 15 კანდიდატი გვყავს. აქედან საანგარიშო პერიოდში მხოლოდ ორი კაცი მივიღეთ პარტიის რიგებში. კანდიდატთა შორის უმრავლესობას 1932 წლიდან აქვს სტაჟი. საანგარიშო-საარჩევნო კრების დროს ამაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ახლა ორიოდე სიტყვა პასიური კომუნისტების შესახებ. ამხ. მ. სარქისოვი და ასლან ასლან-ოღლი დავალებებს გაურბიან, პოლიტმეცადინეობას არ ესწრებიან. ამაში პარტორგანიზაციასაც მიუძღვის ბრალი, რადგან მან ვერ შესძლო მათი დაინტერესება მუშაობით.

**ნიკო ბაგაშვილი**
პარტკომის მდივნის მოადგილე

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადება ჩვენს კოლმეურნეობაში დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ გვაქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები. ბრიგადებში ჩამოყალიბებულია დებულების შემსწავლელი წრეები, რომლებშიც 606 კაცია გაერთიანებული, როცა კოლმეურნეობაში 737 კაცია. სოღანლუღის № 23 ბრიგადის წრეს ჯერ მეცადინეობა არ დაუწყია. ამავე უბნის 4 წრეს, რომელშიც 88 კაცია გაერთიანებული, მხოლოდ ერთი ამხანაგი ბაბა მელაევი ხელმძღვანელობს, რომელიც, ცხადია, ვერ აუდის სამუშაოს.

ორთაჭალის ბრიგადებში არსებული წრეები კარგად მეცადინეობენ. დებულების შემსწავლელი წრის მოწინავე ხელმძღვანელები არიან ამხ. გრ. მელქაძე, რომელმაც 11 მეცადინეობა ჩაატარა, ბ. ალადაშვილი, ე. ციცხვაია და ს. ტუნიევი. ჩვენს ნაკლს ის წარმოადგენს, რომ არჩევნების დებულების შემსწავლელი წრის ხელმძღვანელთა სემინარებს არ ვატარებთ. აგიტსემინარი მარტსა და აპრილში მხოლოდ ორჯერ გვქონდა. ამან სწავლის ხარისხზე საგრძნობი გავლენა მოახდინა. პარტიულმა კომიტეტმა მოისმინა უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საკითხი და დასახა ღონისძიებები. ეს იყო 27 მარტსა და 20 აპრილს. გამოიყო წრეების შემმოწმებელი კომისიები, მაგრამ ეს არ კმარა, პარტიულ კრებაზე ჩვენ საფუძვლიანად უნდა შევეხოთ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადების საკითხს და შევიმუშავოთ საჭირო ღონისძიებები.

**სერაფიონ ჯღარკავა**
პარტიის წევრობის კანდიდატი

სანამ პარტორგანიზაციის საერთო მუშაობას შევეხებოდე, ორიოდე სიტყვა ჩემს თავზედაც მინდა ვთქვა. თანამგრძნობთა ჯგუფში 1934 წელს შევედი. ამავე წელს მე გამგზავნეს ბორჯომში, სადაც დავამთავრე ერთწლიანი პარტიული სკოლა. შარშან მიმიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად. ამჟამად ვარ აგიტატორი. ბრიგადაში ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებს, პარტიისა და მთავრობის მნიშვნელოვან დადგენილებებს, წიგნებს. კოლმეურნეებს ვესაუბრები სხვადასხვა საკითხებზე. წინათ ნაკლებად მისმენდნენ, მაგრამ დავაინტერესე ისინი და ახლა თვითონ მთხოვენ წავუკითხე რამეო.

ჩვენს პარტორგანიზაციაში თანამგრძნობთა ჯგუფში 15 კაცია. საანგარიშო პერიოდში თანამგრძნობად მიღებულია მხოლოდ 4 ამხანაგი, რაც ძალიან ცოტაა. კოლმეურნეობაში მრავალი კაცი მუშაობს თავდადებულად და ბოლომდე ერთგულია ლენინ-სტალინის პარტიისა. ჩვენ 86 საუკეთესო სტახანოველი გვყავს, რომელთა მიზიდვა თანამგრძნობთა ჯგუფში თავისუფლად შეიძლებოდა და საჭიროც იყო, მაგრამ პარტორგანიზაციამ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია. ამიტომ გვყავს ასე ცოტა თანამგრძნობნი — 737 კაცში 15. ამ ერთ წელიწადში თანამგრძნობთა ჯგუფიდან მხოლოდ ერთი კაცი იქნა მიღებული პარტიაში,—მე. ჩემს გარდა კიდევ იყვნენ აქტიურები თანამგრძნობებში და ორგანიზაციას დღემდე უნდა დაეყენებინა პარტიაში მათი მიღების საკითხი. თანამგრძნობთა რიცხვის ზრდა და მათი პარტიაში მიღება დიდი საქმეა. საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ამ საკითხზე უნდა გაამახვილოს ყურადღება. საჭიროა გულდასმით შევისწავლოთ კოლმეურნეობის მოწინავე სტახანოველები და ხელი შევუწყოთ მათ, რათა შემოვიდნენ თანამგრძნობთა ჯგუფში. როგორც ვიცი საანგარიშო პერიოდში თანამგრძნობთა თათბირი ჩატარდა მხოლოდ სამჯერ, რაც ძლიერ ცოტაა.

თითქმის ყველა თანამგრძნობი ჩაბმულია ორგანიზაციულ მუშაობაში. მათ მიცემული აქვთ დავალებები. ანტონ ჩარგეიშვილი არის აგიტატორი, გ. ეფრემიძე გაზეთის ხმამაღლა წამკითხველია, ქუნია გალდავა აგიტატორია და სხვ. ვერ ვიტყვით იმას, რომ თანამგრძნობები დავალებებს ცუდად ასრულებენ, მაგრამ, რაც მთავარია, მათ არ ეხმარებიან ცალკე კომუნისტები. კარგი კი არის, რომ საანგარიშო-საარჩევნო კრება დაადგენდეს, რომ თვითეულ თანამგრძნობს მიემაგროს პარტიის გამოცდილი წევრი, რომელიც ხელს შეუწყობს მის აღზრდას და მომზადებას.

**პორფილე ეფრემიძე.**
პარტწევრი-აგიტატორი

— ბოლშევიზმის დაუფლებას ჩვენს პარტორგანიზაციაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამჟამად გვაქვს სამი პოლიტსკოლა, რომელშიც მეცადინეობს 59 კაცი. პროპაგანდისტების დაუსწრებლობით მეცადინეობა წელს ორჯერ ჩაგვეშალა, მაგრამ ეს ნაკლი პარტორგანიზაციამ მაშინვე აღკვეთა. ახლა მაღალკვალიფიციური პროპაგანდისტები გვყავს და წრეები კარგად მეცადინეობენ, მაგრამ მსმენელები უკონსპექტოდ მოდიან. შეთვისებაც არ არის დამაკმაყოფილებელი. გარდა ამისა, არა გვაქვს სახელმძღვანელოები. მეცადინეობაზე ზოგიერთი ამხანაგები (ა. დეკანოსიძე, დ. ფალავა, შ. გუციაშვილი, მ. სარქისოვი და სხვ.) მოუმზადებელი მოდიან. დაწყებითს პოლიტსკოლას, რომელსაც ამხ. კვანტალიანი ხელმძღვანელობს, სუსტად ესწრებოდნენ მსმენელები. ი. ბაქრაძე 13-დან სამ მეცადინეობას არ დასწრებია. პარტორგანიზაციამ მიიღო ზომები იმ ამხანაგების მიმართ, რომლებიც გულგრილად ეკიდებოდნენ პოლიტმეცადინეობას, და ახლა მდგომარეობა არსებითად გამოსწორებულია. პარტიის წევრობის კანდიდატი ამხ. სერგო ტუნიევი ხშირად აცდენდა პოლიტმეცადინეობას. პარტორგანიზაციამ მას მისცა მითითება. ახლა ამხ. ტუნიევი წრეში კარგად მეცადინეობს.

ჩემი წინადადება იქნება, პარტიულმა კომიტეტმა მოახდინოს გავლენა კომუნისტებზე, რომ ისინი სათანადოდ შედგენილი კონსპექტით მოდიოდნენ პოლიტმეცადინეობაზე. ეს ძლიერ გააუმჯობესებს შეთვისების ხარისხს. გარდა ამისა, საჭიროა ყველა მსმენელს ჰქონდეს სახელმძღვანელო. ეს საკითხი პარტიულმა კომიტეტმა უნდა მოაგვაროს.

**სიმონ გიგაია.**

— ჩვენს პარტორგანიზაციაში კომუნისტების ავანგარდული როლი სუსტია. პარტიის 43 წევრ-კანდიდატიდან მხოლოდ 10 კაცია სტახანოველი. ამის შესახებ პარტორგანიზაციამ მიიღო ერთგვარი ზომები, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით მაინც არ არის გამოსწორებული. ერთი მხრივ ეს იმის ბრალიც არის, რომ სტახანოვური მოძრაობის აღრიცხვა კოლმეურნეობას არა აქვს. შარშან კოლმეურნეობის ბრიგადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მაგრამ მათი შეჯიბრების შედეგები არავის შეუმოწმებია. კოლმეურნეობას არცერთი კოლმეურნეობა არა ჰყავს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული.

ცალკეული კომუნისტები ჩაბმულია არიან სოცშეჯიბრებაში და კარგადაც მუშაობენ. ს. ტუნიევს 515 შრომადღე აქვს გამომუშავებული, დ. თვალაძეს—500, პ. მელქაძეს — 576, რ. ლაგვილავას — 426, ხოლო თანამგრძნობებს ტ. თურმანიძეს — 530 შრომადღე აქვს გამომუშავებული, ვ. გაჩილავას — 568 და ა. შ.

პარტორგანიზაციაში 4 ახალი წევრია, რომლებსაც სათანადოდ ვეხმარებით, ახალი წევრები მიმაგრებული არიან ცალკეულ კომუნისტებზე, რომლებიც აჩვევენ მათ პარტიულ მუშაობას. გარდა ამისა, ახალ წევრებს მიცემული აქვთ დავალებები.

მკვეთრად უნდა დაისვას საკითხი კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლების შესახებ. ამ საკითხზე საანგარიშო-საარჩევნო კრებამ უნდა დასახოს შესაფერისი ღონისძიებები. ჩემი წინადადებაა გამორკვეულ იქნას სოცშეჯიბრების მდგომარეობა, შემოწმდეს ბრიგადების მუშაობა და გამოვლინებულ იქნან ის კომუნისტები და უპარტიოები, რომლებიც გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ.

**ევგენი ციცხვაია.**

— კომკავშირის ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობა სუსტი იყო.

საანგარიშო პერიოდში კომკავშირის კომიტეტის მოხსენება პარტორგანიზაციას 4-ჯერ აქვს მოსმენილი. პარტორგანიზაციამ სათანადო დადგენილებებიც გამოიტანა, მაგრამ ამ დადგენილების შესრულება არ შეუმოწმებიათ. დღემდე მხოლოდ ერთი კომკავშირელია პარტიაში მიღებული, რაც არადამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. პარტკომის მდივანი ახლა კარგად ხელმძღვანელობს კომკავშირს. სისტემატურად ესწრება კომკავშირულ პოლიტსკოლებს და კრებებს. საანგარიშო-საარჩევნო კრების მოწვევასთან დაკავშირებით 27 აპრილს პარტკომმა მოისმინა კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოხსენება. კომკავშირში მრავალი ახალგაზრდა კარგად მუშაობს, ბოლომდე ერთგულია ჩვენი პარტიისა. ორგანიზაციამ უნდა შესძლოს პარტიაში მათი მიღება. ეს საკითხი საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე ფართოდ უნდა დაისვას.

O

თბილისის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციას მნიშვნელოვან მიღწევებთან ერთად საგრძნობი ნაკლოვანებებიც აქვს, რომელთა ნაწილი კომუნისტებმა დღეს უკვე გამოიტანეს ჩვენს გაზეთში. საანგარიშო-საარჩევნო კრებამ უნდა გაითვალისწინოს ზემოთაღნიშნული წინადადებანი და კიდევ უფრო გააფართოვოს ისინი. უმოკლესი დროის განმავლობაში ახალმა პარტიულმა კომიტეტმა უნდა შესძლოს მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესება.



მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი ამხ. ბეგლარ კვანტალიანი აცნობს პარტკომის წევრებს პარტკომის საანგარიშო მოხსენებას. ფოტო რ. აკოფოვისა

## უდანაშაულოდ დასჯილი

ამხ. არჩილ კოკილაშვილი თელავის რაიონული გაზეთის „კოლმეურნის ხმის" პასუხისმგებელ რედაქტორად მუშაობდა. ამავე დროს ის იყო გაზეთ „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი თელავის რაიონში.

იგი როგორც „კომუნისტის", ისე „კოლმეურნის ხმის" ფურცლებზე გაბედულად და მიუდგომლად ამხელდა რაიონში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სისუსტეს, რაიონის ყოფილი „ხელმძღვანელების" მავნებლური მუშაობის შედეგად კოლმეურნეობებში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობას, ქალაქის კეთილმოწყობაში მავნებლურ საქმიანობას და სხვ.

რასაკვირველია, ამხ. კოკილაშვილის ასეთი მოქმედება არ მოსწონდათ თელავის რაიონულ კომიტეტში მოკალათებულ, ამჟამად გამომჟღავნებულ მტრებს. მათ დაიწყეს ამხ. კოკილაშვილის წინააღმდეგ კბილების ლესვა, რომ იგი როგორმე მოეშორებინათ თავიდან. მომენტიც დადგა.

კონტრრევოლუციური მუშაობისათვის თბილისში დააპატიმრეს ამხ. კოკილაშვილის ცოლის და. ეს შემთხვევა საკმარისი გახდა პარტიის წევრ მარგო ზვიადაძისათვის, რომელმაც თელავის რაიკომის ყოფილი მდივნის სახელზე საჩქაროდ შეიტანა ცრუმამხილებელი განცხადება.

განცხადებაში მოყვანილი იყო ყალბი ფაქტები, თითქოს არ. კოკილაშვილს გადასახლებულ ცოლის დისათვის გაეგზავნოს ფული. გარდა ამისა, ზვიადაძე კოკილაშვილს ბრალს სდებდა ხალხის სხვა მტერთან კავშირში.

ყალბი და ცილისმწამებლური ბრალდებებით ისარგებლეს რაიონის ყოფილმა „ხელმძღვანელებმა" და ზვიადაძის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე ამხ. არ. კოკილაშვილი შეუმოწმებლად და საქმის გამოურკვევლად მოხსნეს რედაქტორობიდან, გარიცხეს პარტიის რიგებიდან და მისი საქმე შინსახკომის თელავის რაიგანყოფილებას გადასცეს. ამხ. კოკილაშვილი დააპატიმრეს.

ამრიგად, პატიოსანი ადამიანი, პარტიის აქტიური წევრი სრულიად დაუმსახურებლად და უდანაშაულოდ ცილისმწამებლების მსხვერპლი გახდა.

ამხ. არ. კოკილაშვილის მიმართ წაყენებული ბრალდებები სათანადო ორგანოებმა გულდასმით შეისწავლეს, მაგრამ ამ ბრალდებათა დამადასტურებელი რაიმე ფაქტები ვერ ნახეს. ამხ. კოკილაშვილი, როგორც უდანაშაულოდ დასჯილი, პატიმრობიდან განთავისუფლდა.

ყოველივე ეს ამხ. არ. კოკილაშვილის ირგვლივ შექმნეს და მოჩმახეს ხალხის გაბოროტებულმა მტრებმა. ამაში ბრალი მიუძღვის პარტიის წევრს, ცილისმწამებელ მარგო ზვიადაძეს. ეს კარგად იციან თელავის რაიკომის ახალანდელმა ხელმძღვანელებმა, მაგრამ რატომღაც მ. ზვიადაძე დღემდე დაუსჯელი დადის.

ამხ. არ. კოკილაშვილმა 28 მარტს რაიკომის ბიუროს სახელზე შეიტანა განცხადება მისი პარტიაში აღდგენის შესახებ, მაგრამ განცხადება რაიკომის ბიუროზე დღემდე არ განუხილავთ.

ნუ თუ ამხ. ა. კოკილაშვილის საკითხით პარტრაიკომი არ დაინტერესდება?

**ს. ჟურაშვილი**

## საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

მიწსახკომის 1 მაისის ცნობებით.

| რაიონები | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| ჩოროწყუ | 2644 | 64,7 | 1935 | 44,9 | 1935 | 49,9 |
| მახარაძე | 3710 | 78,3 | 1282 | 22,7 | 1278 | 25,1 |
| ლანჩხუთი | 4582 | 61,9 | 2919 | 35,9 | 2898 | 46 |
| ჩოხატაური | 1270 | 29,9 | 1433 | 32 | 1383 | 35,5 |
| ფოთი | 286 | 73,8 | 80 | 25 | 79 | 28,2 |
| აფხაზეთის ასსრ | 32274 | 87,9 | 8394 | 19 | 7489 | 22,1 |
| აჭარის ასსრ | 2542 | 50,2 | 1060 | 19,8 | 944 | 24,6 |
| სულ | 194202 | 64,6 | 225566 | 46,2 | 184766 | 47,6 |

ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და აბაშის რაიონებს 25 აპრილის შემდეგ მიწსახკომში ცნობები არ წარუდგენიათ.

**მ. ჭაკნელიძე**

## ბოლშევიკურად ვემზადოთ პრესის დღისათვის

ბოლშევიკური პრესა, ლენინური „ისკრიდან" დაწყებული, არალეგალური მუშაობის პირობებში იქმნებოდა და მზრუნველობით აღზრდილია ლენინისა და სტალინის მიერ სასტიკი ბრძოლის მრავალი წლის განმავლობაში. იგი წარმოადგენს ძლევამოსილი რევოლუციური პროლეტარიატის მძლავრ იარაღს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პრესა უდიდეს როლს თამაშობდა ჩვენი პარტიის მთელ ისტორიაში, რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში; იგი აწარმოებდა შეურიგებელ ბრძოლას მუშათა კლასის გამცემლებისა და მტრების წინააღმდეგ, ააშკარავებდა მათს საზიზღარ ხრიკებს.

ბრწყინვალე ფურცლები ჩაიწერა ბოლშევიკური პრესის ისტორიაში სამოქალაქო ომის წლებში, ხოლო შემდეგ სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში, ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის წლებში.

მაღალი ბოლშევიკური იდეურობა, ლენინურ-სტალინური სტილი მუშაობაში, შეურიგებლობა პარტიისა და მუშათა კლასის მტრებისადმი, რევოლუციის მტრებისადმი, ულმობელი ბრძოლა ყველა სახისა და ჯურის მტრებთან,— აი რა ახასიათებს ბოლშევიკურ პრესას.

ამ მაგალითებზე განუხრელად ზრდის „პრავდა" პრესის მუშაკთა მთელ არმიას.

ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელ აგენტთა საზიზღარი ბანდა ყოველნაირად მიისწრაფოდა იქითკენ, რომ ჩაეშალნა ბოლშევიკური პრესის მუშაობა.

უკანასკნელ დროს ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა ჩვენი გაზეთების გასაწმენდად ხალხის მტრებისაგან, რომელნიც ზოგიერთ რედაქციაში იყვნენ მიმალულნი.

უკანასკნელ წელს რედაქციებში სამუშაოდ მოვიდნენ მუშაკთა ახალი კადრები საწარმოებიდან და კოლმეურნეობებიდან.

საკმარისია აღვნიშნოთ მაგალითი „ზარია ვოსტოკას" რედაქციისა, სადაც ხელმძღვანელ საგაზეთო მუშაობაზე რედაქციის აპარატში დაწინაურებულია 4 მუშკორი, ან „მუშის" რედაქციისა, სადაც რედაქტორის მოადგილედ დაწინაურებულია მრავალტირაჟიან გაზეთ „ბიუგელის" მუშაკი. საქართველოს რაიონული პრესის კადრები ახალი შემოწმებული ადამიანებით შეივსო, მაგრამ წინ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი საგაზეთო კადრების შემდგომი აღზრდისათვის.

წელს პრესის დღე ტარდება იმ ვითარებაში, როდესაც პრესის წინაშე დგას ისეთი პასუხსაგები პოლიტიკური ამოცანები, როგორიცაა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ჩატარება, ხელმძღვანელი პარტორგანოების ანგარიშგება და არჩევნები, ბრძოლა საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისათვის, მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის მაღალი მოსავლისათვის.

ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრა პარტიული ორგანიზაციების ყველა რგოლისაგან მოითხოვს პრესის დღის ჩატარებას პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერების, პოლიტიკური სიფხიზლისა და გაზეთების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების ნიშნით. ეს ამოცანები მოითხოვენ გაზეთებისაგან მასებთან კავშირის შემდგომ გაფართოვებას, ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლას, პოლიტიკური სიფხიზლის გამახვილებას და მუშსოფლკორთა ახალი კადრების აღზრდას.

ფაქტები მოწმობენ, რომ წინათ პრესის დღის ჩატარებაში ადგილებზე ხშირად საზეიმო კრებებით კმაყოფილდებოდნენ. ზოგადი საპარადო მოხსენებები, რომლებსაც ამ კრებებზე კითხულობდნენ, ხელს უშლიდნენ გაზეთების მუშაობის სერიოზულად, ღრმად და საქმიანად განხილვას და მათს მუშაობაში ნაკლოვანებათა გამომჟღავნებას. ამის შედეგად თვით გაზეთების რედაქციებსაც ვერ გამოჰქონდათ გაკვეთილი და სარგებლობა ამ კრებებიდან.

თავის გადაწყვეტილებაში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა წინადადება მისცა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მიმდინარე წელს პრესის დღე აღნიშნონ პარტიული, კომკავშირული, პროფესიული ორგანიზაციების აქტივისა და პრესის მუშაკთა საქმიანი კრებების მოწვევით. ამ კრებებზე მოსმენილი იქნება რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქტორთა მოხსენებანი.

5 მაისს თბილისის საქალაქო პარტიული აქტივის კრებაზე მუშკორებთან და პრესის მუშაკებთან ერთად მოსმენილი იქნება გაზეთების „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" რედაქტორების საანგარიშო მოხსენებები. ქალ. თბილისის მსხვილ საწარმოებში მოწვეული იქნება პირველადი პარტორგანიზაციების ღია პარტიული კრებები, რომლებზეც გაკეთებული იქნება მოხსენებები „ვეჩერნი თბილისის", „მუშის", „ენი-ქენდის", „პროლეტარის", „ბოლშევისტსკაია პუტიოვკის", „სტალინური ლოკომოტივის" და სხვა გაზეთების რედაქციების მუშაობის შესახებ.

ყველა დანარჩენ საწარმოში პირველადი პარტორგანიზაციების ღია პარტიულ კრებებზე აგრეთვე შესდგება საფაბრიკო-საქარხნო და კედლის გაზეთების რედაქციების საანგარიშო მოხსენებები. ეს კრებები კიდევ უფრო გააფართოვებენ გაზეთების კავშირს მასებთან. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველჰყონ ამ კრებების საქმიანი მომზადება.

მკითხველთა ფართო კონფერენციები და კორესპონდენტთა კრებები მსხვილ საწარმოებში და სოფლებში აგრეთვე განიხილავენ გაზეთების რედაქციებისა და რედკოლეგიების მოხსენებებს.

საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ცენტრალური და საოლქო გაზეთების კავშირი რაიონებთან. ამ მიზნით რესპუბლიკური გაზეთები თავის წარმომადგენლებს ჰგზავნიან რაიონებში: „კომუნისტი" — გორში, „ენი ქენდი" — ყარაიაში, „ბრძოლა ჩაისათვის" — მახარაძეში და „პროლეტარი" — ახალქალაქში. გაზეთების წარმომადგენლები მოხსენებებს გააკეთებენ აქტივის კრებებზე, რომლებიც მოწვეული იქნება ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში. ამ მაგალითს საოლქო და რაიონულმა გაზეთებმა უნდა მიბაძონ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს რედაქციების მოხსენებათა ყოველმხრივი განხილვა შეიძლებოდეს იმით განვსაზღვროთ რომ ყველაფერზე გაკვრით ვილაპარაკოთ. ამოცანა, პირიქით, იმაში მდგომარეობს, რომ პრესის დღეს განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ გაზეთების მუშაობის ძირითად საკითხებს.

როგორ იბრძოდნენ გაზეთები საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტისა და იანვრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაშლისათვის. როგორ მოაწყეს მათ სტახანოვური მუშაობის გამოცდილების ჩვენება, როგორ აშუქებდნენ სოციალისტურ შეჯიბრებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როგორ აშუქებდნენ საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს და სხვ.

გაზეთის თავის დროზე გამოსვლა, ინფორმაციის კარგად დაყენება იმის შესახებ, თუ რა კეთდება ჩვენს ქვეყანაში, რა ხდება საზღვარგარეთ, ბოლშევიკური წესრიგი საგაზეთო მეურნეობაში, დაუდევრობისა და გულგრილობის მოსპობა მუშაობაში, ენის კულტურა, ყოველდღიური თემატიკის გაფართოვება — ყოველივე ეს გაზეთების კულტურული მუშაობის აუცილებელი მაჩვენებლებია.

კრებები, რომლებზეც შეიკრიბებიან საუკეთესო აქტივისტები, სტახანოველები, ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანები, გულდასმით მომზადებას მოითხოვს. აქტივის კარგად მომზადებული კრება უზრუნველჰყოფს გაზეთების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ნამდვილი ბოლშევიკური კრიტიკის გაშლას. ამიტომ მოხსენებათა განხილვა უნდა ატარებდეს განსაკუთრებით საქმიან ხასიათს, რათა ხელი შეუწყოს ბოლშევიკური პრესის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

## სოცშეჯიბრება კარტოფილის უხვი მოსავლისათვის

ყარაიას რაიონში ფართო გამოხმაურება ჰპოვა სსრკ სახკომსაბჭოს 19 მარტის დადგენილებამ „1938 წელს კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ". ამ დღეებში შემდგარ სარაიონო თათბირზე, რომელსაც კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეები, კოლმეურნეობების გამოცდილი ბრიგადირები და რაიონის ყველა სპეციალისტები ესწრებოდნენ, დასახულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი ამ დადგენილების მთლიანად შესრულებისათვის. ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ფ. შპიცმა თათბირის მონაწილეთ გაუზიარა თავისი გამოცდილება კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების დარგში და აიღო ვალდებულება მიიღოს ჰექტარიდან საშუალოდ 220 ცენტნერი მოსავალი. ამხ. შპიცის ამ ინიციატივას გამოეხმაურნენ სხვებიც. კოლმეურნეობა „ისკრას" თავმჯდომარემ ამხ. ალ. იასინოვმა იკისრა ვალდებულება 1938 წელს მიიღოს ჰექტარზე 230 ცენტნერი მოსავალი.

ოქტომბრის რევოლუციის 15 წლისთავის სახელობის კოლმეურნეობის წევრს ილია კიჩიკის წარსულ წლებში ყოველ ჰექტარზე მოჰყავდა 1500 ფუთი კარტოფილის მოსავალი. ამხ. კიჩიკი, როგორც თვითონ განაცხადა, ამ წარმატებას მიაღწია იმით, რომ ყოველ ჰექტარ საკარტოფილე ნიადაგში შეჰქონდა 50—60 ტონა ნაკელი, ნიადაგს ხნავდა 25—30 სანტიმეტრის სიღრმეზე და თესვის წინ გადახნავდა ხოლმე. პირველი და მეორე თოხნის შემდეგ მცენარეებს 4-5-ჯერ შემოაყრიდა მიწას, შაბიამნის ხსნარით უწამლებდა სამჯერ და ნათესს რწყავდა ხუთჯერ. ამხ. კიჩიკიმ იკისრა ვალდებულება წელს კარტოფილის მოსავალი მიიღოს არანაკლებ 240 ცენტნერისა ჰექტარზე.

კოლმეურნეობებს უკვე დაეგზავნათ კარტოფილის მოვლა-დამუშავების აგროწესები, შედგენილი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მოწინავეთა გამოცდილების საფუძველზე.

**აგრ. ი. რაქვიაშვილი**

